რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლში, კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თვითონ „დროების" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (ჟერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

„დროების" ფასი:

ერთის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., ასო-მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივის ასოთი სტრიქონზე 8 კაპ.

თუ ხელნაწერს მოითხოვს [illegible]

განცხადებას მიიღებს ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე.

ქუთაისში განცხადებას მიიღებს ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

ოთხის თვის ხელის-მოწერა.

პირველის სეკტემბრიდამ ამ 1882 წლის დამლევამდინ

„დროება"

ღირს გაგზავნით 4 (ოთხი) მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში—გალავინის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბს ქვემოთ.

ქუთაისში—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба".

## ტელეგრამმა

(„სახლხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი")

პეტერბურღი, 8 ენკენისთვეს. „მმართებლობის მოამბეში" სწერია: მათნი უდიდესობანი უავგუსტოესი შვილებით და დიდთ მთავართა: ალექსის, სერგის და პავლე ალექსანდრეს-ძეთა თანდასწრებით 7 ენკენისთვეს ინებეს წაბრძანება პეტერგოფიდან მოსკოვში.

ნოვგოროდის ვიცე-გუბერნატორი ბალტარაცი უმაღლესის ბრძანებით დანიშნულია არხანგელის გუბერნატორად.

ხარკოვი, 8 ენკენისთვეს. გუშინ ღამით გაქურდეს ქალაქში ერთი უმდიდრესი ეკკლესიათაგანი, როჟდესტვენსკისა. ქურდები ჯერ არ დაუჭერიათ.

პეტერბურღის ბირჟა, 8 სეკტემბ.

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 95 — | „ |
| მეორესი — — — — | 91 — | 25 |
| მესამესი — — — — | 91 — | 5 |
| მეოთხესი — — — | 90 — | 25 |
| მეხუთესი — — — | 90 — | 12 |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 90 — | „ |
| აღმოსავლეთის მეორე | 90 — | „ |
| აღმოსავლეთის მესამე | 90 — | „ |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8 — | 7½ |

შინაგანის 5% სესხის ბილეთები:

| | | |
|---|---|---|
| პირველი სესხის — | — 214 — | 5 |
| მეორე სესხის — | — 207 — | 50 |

100 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი | — 24 — | 4 | პენსი |
| ჰამბურღი | — 205 — | 75 | ცენტი |
| პარიჟი | — — 253 — | 50 | სანტიმი |
| ბერლინი | — „ — | „ | პფენიგი |

## შენიშვნა

მათავდა ზაფხული!... როგორც ყოველ წლობით, ისე ახლაც ვხედავთ ქუჩა-ქუჩა მომტირალ პატარა ყმაწვილებს და მათთან ერთად დალონებულ და თითქმის ყველასა და ყოველის-ფრის მგმობელ გამწარებულ მოხუცებულებს. ვინ უნდა იყვნენ? პირველები არიან ახალ-გაზდა ქართველები, ამ თავითვე განძრახვ-განწირულები, ხელის ძალით დალუპულები, რომელნიც ამ ათი თხუთმეტის წლის შემდეგ სხვა-და-სხვა სამკაროებში ამოჰყოფენ თავს და როგორც ქვეყნის მავნებელი და შემაწუხრები, ან სალრჩობელაზედ ჩამოეკიდებიან და ან გაისეირნებენ ციმბირისაკენ. მეორეები კი მამები არიან!... უბედური მამები! თესისის შვილების მომავალის წინასწარ მხედველნი.

დაირღვა ძველი წყობილება, აღარ არის ძველი წესები, პურს ვეღარ აჭმევს დედა-ენა. სულ სხვა გზა არის საჭირო და აი ამ გზის საძებრად ჩამოდიან სხვა-და-სხვა შორეულ კუთხეებიდან მამები და ჩამოჰყავთ შვილები. მანა თავს იზოგვენ? უკანასკნელ ქირნახულს ჰყიდიან და ისე მოჰყავთ, მაგრამ უცუდდებათ იმედი: მათ შვილებს არ ეღებათ სასწავლებლების კარები. მიზეზი? ათი ათასი! 1) ხნოვანება წასულიაო, ვადაუცილებია რამოდენიმე დღეო! 2) ვაკანსია არ არისო; 3) მაგან უნდა იცოდეს ის ენა, რომელზედაც სწავლას დაიწყებს, თითქმის ზედ მიწევნით და კარგი გამოთქმაც უნდა ჰქონდესო და სხვ. და სხვანი.

ესეები ყველა კანონიერი მოთხოვნილებაა, მაგრამ გაუგებარ მამებს კი ვერ გაუგიათ და ჩივიან: „როგორ? ნუ თუ ათისს წლისას შეუძლიან ისწავლოს და ათისა და რამდენიმე დღისას კი არაო? ვაკანსია არ არისო?! —„ჰმ... მაშ, ან ჩემი გამაყვანიე და ან შენი მომეციო!" ენა უნდა იცოდეთო?! და თუ ეცოდინებათ, თქვენთან რაღაც მოვიყვანთ სატანჯავადო! და სხვ... ამას გამწარება ალაპარაკებსთ. მაგრამ ჩვენ კი უნდა ჩვენის მხრით გამოვტყდეთ, რომ ამ ჭირის განკურნება ადვილად შეიძლებოდა.

რა ბრალია ყმაწვილის, რომ მისი დედა ენა სხვა არის და არ იცის ის ენა რომელზედაც ასწავლიან? იგი რად უნდა დაილუპოს საუკუნოდ? განა არ შეიძლება, რომ შეემატოს სასწავლებლებს ერთი განყოფილება, სადაც საკუთრად მხოლოდ რუსული ენა ასწავლონ და მერე მიიღონ პირველში, რომ ენის უცოდინრობა საუკუნო სამასალოთ არ გადაექცეს სწავლის მიღების მსურველს? მეტყვიან ხარჯიო? და მე მგონი, აქ უფრო ნაკლე დაიხარჯება ამ თავით, ვიდრე მერე, როდესაც ამათზევე სამკაროებს გამართევენ და დაუწყებენ დევნას, როგორც ქვეყნის მავნებელ პირებს. საზოგადო კანონს ვერ დავარღვევთ თქვენთვისო, გვეუბნებიან ზოგიერთები და მათ რიცხვში ბევრი მასწავლებლებთაგანიც!... კანონი და წესი საერთო უნდა იყოს!... ქეთილი და პატიოსანი, მაგრამ ისინი, რომ დამატებით (დაბავოჩნი) ჯამაგირებს იღებენ კავკასიაში, ის კი გამორიცხვა არ არის საზოგადო წესისა და კანონისაგან?... თუ კი რუსეთში, სადაც ჰაერიც უფრო ცუდია და ცხოვრებაც უფრო ძნელი, იქ ნახევარს აძლევენ, აქ რად იღებენ ერთი-ორად და მოსწონთ კიდევაც ეს გამორიცხვითი კანონი?...

ესეები ყველა ჩვენ გვემადლება და ჩვენ კი უფრო მადლობელი ვიქნებოდით, რომ ეს „გამორიცხვა" მოსწავლეებისთვის ყოფილიყო და არა მათ მასწავლებლებისთვის, რომელნიც სახალხოდ იძახიან:.... „სხვათა ჭირი, ჩვენთვის ლხინიო!"

აკაკი.

ინგლისელებმა აიღეს ეგვიპტის სატახტო ქალაქი კაირი და არაბი-ფაშა დაატყვევეს. ამითი გათავდა ბრძოლა ეგვიპტელთა და ინგლისელთა შორის. არავის ეჭვი არ ჰქონდა, რომ ამ ომიდამ ინგლისელები გამარჯვებულნი გამოვიდოდნენ; მხოლოდ ის კი არ გვეგონა, რომ ასე უცებ, ასე მალე გათავდებოდა მათი შეტაკება. რასაკვირველია, ეგრეთ მომზადებულს და გაჩარხულს ჯარებს, როგორიცა ჰყავს ინგლისს ეგვიპტელები პირ-და-პირობის ომის ველზე ვერ გაუწევდენ. ამ ორის, სამის წლის განმავალობაში რამოდენიმე შეტაკება მოხდა დიდ ევროპიელ სახელმწიფოებთა და სხვა პატარა ხალხებთა შორის. ამ შემთხვევაში ევროპიელები გამარჯვებულნი გამოვიდნენ; მაგრამ მაინც მტერმა დიდი ზიანი მისცა და ხანგრძლივი ბრძოლა გაუწია, საკმაოა მოვიგონოთ ინგლისელების ავღანელებთან და ზულუსებთან ომი, აგრეთვე ფრანცუზების შეტაკება თუნისლებთან და ავსტრიელების ბოსნიელებთან.

არაბი-ფაშა ძლიერ გაუჭირებდა საქმეს თავის მტერს, რომ პარტიზანული ომი გაეწია და თავიდანვე, უფრო გამბედავნად ემოქმედნა. თავდაპირველად ინგლისელებმა ძლიერ ცოტა ჯარები მიასხა ეგვიპტეში; მაშინვე რომ მკვირცხლად დასტაკებოდა არაბი უეჭველია, ძალიან დაამარცხებდა. მაგრამ ეგვიპტის დიქტატორმა ლოდინში გაატარა ბევრი დრო, რომლის განმავალობაში ინგლისელებმა ყოველის მხრიდამ შეჰკრიბეს კარგად გამართული ჯარები. გარდა ამისა არაბიმ ევროპიულის სისტემის ომი გაუმართა მტერს; რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ეგვიპტელებს უნდა წაეგოთ. სად ეგვიპტელები და სად ინგლისის ჯარები ვაშლილ ბრძოლის ველზე!. ეს ომი კიდე უფრო დაამკვიდრებს ინგლისელების განმავალობას ეგვიპტეში და საზოგადოდ აღმოსავლეთში, სადაც, უიმისოდაც ინგლისელებმა ჩაიგდეს ხელში მრთელი ვაჭრობა, და დაიპყრეს საუკეთესო ადგილები, რომელნიც ირიცხებიან ყელად სავაჭრო გზებისა აღმოსავლეთში.

## დღიური

ჩვენ შევიტყეთ, რომ ჩვენს საზოგადოებაში აღძრულა აზრი, გამართონ იუბილეი ორმოც-და-ათის წლის მოღვაწეობისა სალიტერატურო ასპარეზზედ გამოჩენილის ჩვენის პოეტის თავ. გრ. ორბელიანისა. განზრახვაა, რომ ეს იუბილეი იდღესასწაულონ დიდის დარბაზობითა.

რედაქცია აცხადებს სრულს თავის სიხარულს ამ სასიამოვნო ამბვის გამო. ჩვენ დარწმუნებული ვართ რომ ჩვენის სახელოვანის პოეტის, უკეთესის მამულის შვილის, საპატიოდ გადახდილი დღესასწაული, ღირსეული ღვაწლის დაფასება არის და უკეთესი საბუთი ჩვენის ეროვნულის თვით-ცნობიერების განმტკიცებისა.

*
* *

სენატორი ბერი მსწრაფლად მუშაობს. ამ კვირაში შეუდგებაო სასამართლო პალატის საქმეთა წარმოების გარდახედვას.

*
* *

საქართველოს ახალი ეგზარხოსი ყოვლად-სამღვდელო პავლე დიდის პატივის ცემით გამოუცილებიათ ქიშინევიდამ, სადაც ყოვლად-სამღვდელო მსახურება დღემდის. საზოგადოება ისე ვთხოვებოდა მას, როგორც შვილები საყვარელ მამასაო.

*
* *

ს. ქავთის-ხევიდან გვატყობინებენ, რომ ეხლა იქ მყოფი მიწის-მზომავი (ზემლემერი) ბ. ფანიევი დიდს გაჭირებას აყენებს, ავიწროებს ქავთი-ხეველ გლეხობასაო, თუმცა ამათ საქმეს ნაკლებად არიგებს და უმეტესად თავად-აზნაურების საქმეებს აწყობსო. მუქარით და შეტიალით თხოულობს

მამასახლისისაგან უფასოდ: შეშას, ნახშირს, მუშას, მცველებს—კარაულებს, ცხენს, როცა კი მოუნდება ამათ საძოვნელად კაცსა, და სხვა ათასს, უეჭველად, მალალ ფარდიანს.

ძალიან საჭირო იქნებოდა, დაჭეშმარიტებით შეგვეტყო—მართალია, გლეხები მოვალენი არიან ყველა ეს ზემოხსენებული უფასოდ აძლიონ ზემლემერსა, თუ არა?! თუ გინდა აძლიონ, მარტო გლეხების კისრიდან უნდა ამოიღონ ეს გარდა ახალი, თუ სხვა მამულის მოპატრონე თავადაზნაურებისაგანაც, რომელთ მამულის გამიჯვნას მეტი დროცა და შრომაც უნდა.

* * *

ქუთაისიდან გვწერენ იქაურ სასულიერო სასწავლებლის მდგომარეობაზედ შემდეგ ცნობებს:

განსვენებულ ზ. ქალანდარიშვილის დროს, რომელიც ზედამხედველი იყო ამ სასწავლებლისა, და მის შემდეგაც რამოდენიმე წელს ტფილისის სასულიერო სემინარიაში ღებულობდნენ ხოლმე სახელწიფო ხარჯზედ ამ სასწავლებელში კურს-დამსრულებელთ სწავლის გასაგრძელებლად. ეხლა, რაღაც მიზეზით, ეს რიგი შეიცვალა. სამი წელიწადია რაც სახელმწიფო ხარჯით ქუთაისის სასულიერო სასწავლებლიდან ტფილისის სემინარიაში არ მიუღიათ ერთი მოსწავლე. არა თუ ახლად მიიღონ ძველებსაც ითხოვენო. ადრე, მაგალითად ქალანდარიშვილის დროს, 15—20 ყმაწვილი თუ ასრულებდა სწავლას აქ, და დღეს რომ 50—70-მდე ყმაწვილი ასრულებს, სად უნდა წავიდნენ ესენი. საშუალების სიღარიბე გამო თავიანთ ხარჯით ვერსად ჰბედვენ წასვლას. გიმნაზიების ხარჯს როგორ აუვლის ჩვენებური ღარიბი სამღვდელოება. საოსტატო ინსტიტუტში ყოველ წლობით ცოტაა ვაკანსია. საოსტატო სემინარიაში—გორისაში იმერეთიდამ ეხლა ნაკლებად იღებენ ყმაწვილებს, ერევნისა შორს არის და ხონის სემინარია ყველას რას გასტევბა. მიზეზი, რომ ტფილისის სემინარიში აღარ ღებულობენ ყმაწვილებს იმერეთიდამ სახელმწიფო ხარჯზედ, შემდეგი გარემოება არისო. იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი სცდილობსო, რომ ქუთაისში იქმნას გახსნილი სემინარია და ამის გამო ტფილისის სასულიერო სემინარიას იმერეთიდამ აღარ მოსდლია ის ფული, რომელიც ყოველ წლობით ეგზავნებოდა მას ამ მხრის სამღვდელოების შვილთა სახელმწიფო ხარჯზედ მისაღებად.

ჩვენ არ ვიცით, რამდენად მართალია ეს ამბავი.

პირველს შემთხვევაში, თუ კი ნამდვილი ცნობა გამოდგა, ვისურვებთ, რომ არ გამართლდეს ჩვენებური ანდაზა: „პავლეს მოსვლამდი—პეტრეს ტყავი გაძრესო“.

* * *

სოფ. ნინო-წმინდიდან მოგვივიდა ცნობა, რომ იქაურს საზოგადოებაში მამასახლისად ამოურჩევიათ ამ სოფლის მიკიტანი სომეხი, მღებრიშვილი, რომლის ამორჩევა, როგორც გვაცნობებენ, მეტად აკვირვებს ყველასაო ჩვენს ერთ დედასოფელთაგანში ჯერ სომეხი და მერე კიდე მიკიტანი მამასახლისად, მოდი და ნუ გაგიკვირდებათო. რომ სოფლის საქმეა ხეირიანად წინაუძღოდეს კიდე კარგიო, მაგრამ მიკიტანმა თვისის ინტერესების გულისათვის, როგორ უნდა ვისმეს აწყენინოსო. ზულ-ნაკლულად რომ ვინმე დასტოვეს, ხომ მოაკლდა შუშტრემას რიცხვსაო.

* * *

ხშირად გვსმენია ხოლმე უკმაყოფილება საშკავროთა პრისტავებზედ იმის გამო, რომ ისინი რამდენიმე საქმეს ერთად უყრიან თავს, პრაგონს თითო საქმისათვის სათითაოდ აიღებენ და ერთის მორებით რომელიმე სოფელში ხუთს-ექვს და ხან მეტს საქმესაც არიგებენ ერთ-ხნობითაო.

ამავე საგნის შესახებ „იურიდიულ მიმოხილვას“ აცნობებენ ქუთაისიდგან: „აქაური სამჯავროის ერთი წევრთაგანი, ბ. შ. კანიკულების დროს წაბრძანდა თავის გასართობად და სასიამოდ ერთ უმშვენიერს კუთხეში ქუთაისის გუბერნისა მჭავე წყლებზე და თან გაიყოლა ათამდე ამ კუთხეში გასარჩევი საქმეები. პრაგონი, რასაკვირველია აღლო ყველა ამ საქმისა სათითაოდ.“

ღმერთო უარესისაგან გვიხსენ, თორემ ამ გვარ ოინებს ჩვენის ჩინოვნიკობისა დიდი ხანია ვხედავთ და მიჩვეულნი ვართ, არ გვეუცხოება ისინი.

* * *

თელავიდამ გვწერენ:

ამ ზაფხულ თელავში ჩამოსულ ახალ გაზდობამ, დიდი ვაი ვაგლახის შემდეგ, გამართა წარმოდგენები. სულ ოთხჯერ იყო წარმოდგენა. ამ წარმოდგენებზედ შემოვიდა სულ 380 მან. აქედგან დაიხარჯა 166 მან. დანარჩენი 214 მან. გამოცხადებისა თანხმად გაიყო ესე: 70 მან. მამავალ თელავის საქალებო სასწავლებლის სასარგებლოდ გადაიდვა. ეს ფული ქურდღელაურის ბანკში გარდაეცა ი. როსტომაშვილს სასარგებლოდ, მინამდის ხსენებული სასწავლებელი დაარსდება. 44 მან. გარდაეცა სტუდენტს ს. ვახვახიშვილს, ქართველ ღარიბ სტუდენტების გარდასაცემად. 60 მან. გარდაეცა ერთს ღარიბ ოჯახს. 30 მან. ღარიბ სოფ. მასწავლებლების სასარგებლოდ გარდაიცა და 10 მან. ერთ ღარიბ მოსწავლეს—სასწავლებელში შესატანად და სწავლის გასაგრძელებლად.

* * *

გამოვიდა მეშვიდე და მერვე წიგნი „იმედისა“ შემდეგის შინაარსით: 1) ოქროს ხოხობი—დ. დათოშვილისა; 2) ორის სავლავზედ (ლექსი)—ან. ფურცელაძისა; 3) ძვირფასი მხარე ჩვენის წარსული ცხოვრებისა (სამშობლო! დრამა გადმ. თ. დ. ერისთავისაგან)—სტ. ჭრელაშვილისა; 4) [illegible] (ლექსი)—ან. ფურცელაძისა; 5) საფუძვლები სახალხო განათლებისა (გაგრძელება)—ნ. ხიზანოვისა; 6) წყნისქალი (ლექსი)—ნ. უბ—შვილისა; 7) რამდენიმე სიტყვა (ივერ. მაისის შინაურ მიმოხ.)—ან. ფურცელაძისა; 8) როდემდის უნდა! (ლექსი)—სანდროსი; 9) საქართველოს მოკლე მატიანე (გაგრძელება) მ. ჯანაშვილისა.; 10) დაგვირგვინებული მოლოდინი (ლექსი) ალ. თუთაევისა.

# რუსეთი

(გაზეთებიდან)

სახალხო განათლების მინისტრს მოუთხოვია სამასწავლო მაზრის მზრუნველთაგან ცნობები, თუ რა სარგებლობა იქნება საქალებო სკოლების დაარსებით, რომელნიც უნდა იყვნენ უფრო ნაკლების კურსით, ვიდრე ქალების გიმნაზია და პროგიმნაზია. ამას გარდა მზრუნველებმა უნდა აცნობონ, როგორ მოეკიდება საზოგადოება ამ საქმეს და თუ მისცემს შემწეობას მთავრობას ფულით ამ სკოლების დაარსებისათვის. აქ ქალებს ასწავლიან ხელ-საქნარსაც სხვათა შორის.

—

ინგლისური გაზეთის Standard-ის სიტყვით რუსეთის და საფრანგეთის შუა დათანხმება ჩამოვარდა ციმბირის და სომხეთის საქმეების შესახებ.

—

„რუსკი კურიერ“-ის სიტყვით აკრძალულია პოლიტიკური დამნაშავეების დამწყვდევა საერთო სატუსაღოთახში. იუსტიციის მინისტრისაგან არის ცირკულიარი გაგზავნილი გუბერნატორებთან რომ იმათ უნდა მოსპონ ეს ჩვეულება.

—

სახელმწიფო ქონებათა მინისტრს განუხელია კითხვა იმის შესახებ, თუ რა მიზეზი იყო, რომ ცეცხლი მოუ-ნაშენობამ დამიყვანა იმ დასკვნამდის, რომ რუსეთი ეკკლესიებს და კაზარმებს უფრო ეჭიდება, ვიდრე სკოლებს. ამავის შენიშნავ პელიკოროსიასაც.

---

## «დროების» ფელეტონი, 10 სექტემბ.

### მგზავრის შენიშვნები

ქუთაისიდამ პეტერბურღამდე.

შექველია ქართველ მკითხველ საზოგადოებაში ბევრი პირი მოინახება, რომელთაც საინტერესოდ დარჩებათ რუსეთზე მცირე-გაკვრითი ცნობების შეტყობა.

ჩვენებური კაცი, რუსეთში მოგზაური, შთაბეჭდილებათა სხვა-დასხვაობით მაინც-და-მაინც ვერ იძლებს გულს: ერთი შთაბეჭდილება მეორეზედ უმძიმესია, უფერულია და რიცხოვნებითაც მცირე. ფოთამდის კიდევ არაფერი, რადგან მისი დიდ მშვენიერი ბუნება ძლიერ ფერადოსანია: ჯერ ერთი ვერ მოუნელებია კაცს, კისერზე ადგება, აგერ, სხვა საგანი იტაცებს მის ყურადღებას; ფოთიდან კი იწყება წყლის უდაბნო, სიერცით თვალ-მიუწდომელი. მოგზაური დამძიმებულია ერთ ფეროვნებისაგან; გემზე მიმავალი ვერა რას ხედავს თავის გარშემო, მხოლოდ იშვიათად ამწვანებულ ნაპირებსა მისწვდება მისი თვალი; ესეც იმის წყალობით, რომ ეს ნაპირები საქართველოს ნიადაგის ნაწილებს შეადგენენ. სოხუმიდან მოყოლებული, ზღვის ნაპირები სულ თან-და-თან ღარიბდებიან და ბოლოს უტყეო და უბალახონი მოჩანან; ერთი მხოლოდ ხან-და-ხანი ჩაყურყუმალება წყლის ფრინველებისა, რომელნიც ოდნავ ჩ მოგვაჩნან იხვებს და დარაზმული ზღვის ღორებ[illegible]ის იერიში, რომელნიც პირ-და-პირ გემს უხვდებიან შიგ ცხვირში, ვითომც და გასაჩერებლად, ზღვის ერთ ფეროვნებისაგან მიძინებულს მოგზაურს აღვიძებენ და ცოტათი ართობენ მის გონებას.

მოგზაური აქნობამდის იყო მოწყენილი ზღვის ერთ ფეროვნებისგან, ეხლა, სებასტოპოლიდან რომ შეუდგება რკინის გზას, მინდვრების ზღვა წაართმევს მას გაუმაძღარ თვალს: ხედავს აქა-იქა საძოვრიან ველებს, რომლებზედაც ძლივს თუ მოჩანან აქაიქა ხეები; საძოვრებზე საქონელსაც და ცხვრის ფარასაც შეხვდებით, მაგრამ ცხენები კი ღმერთმა შეინახოს, სიცხოველის ნიშან წყალი არ აქვთ[illegible], სძოვენ ბალახს და, მუცელ გამოყეყილები, უშნოდ დაიბანძლებიან: ბუნება თოხარიკობაში ვერ ნდობია მათ; მდინარეები ტბებს ჰგვანან ისე დამდორებული მიდიან, გეგონებათ არაქათი გამოლევიათო. აქაური შენობები უმეტეს წილად ძლიერ დაბლებია, ტალახითა აქვთ შელესილი და მერე შეთეთრებული; სახურავად ისლი სცოდნიათ. ამას გარდა მიწაში ჩადგმული სახლებიც სცოდნიათ აქაურებს. რაც უნდა ღარიბი სოფელი იყოს, ქვითკირით ნაშენი დიდი და გუმბათიანი ეკკლესია მაინც არის ამოჭიმული. სკოლებისას ვერარას ვიტყვი, რადგან თვალ-საჩინოდ არ არიან ისინი აშენებული და ეკკლესიების და კაზარმების წაღმა-უკუღმა ნაშენობამ დამიყვანა იმ დასკვნამდის, რომ რუსეთი ეკკლესიებს და კაზარმებს უფრო ეჭიდება, ვიდრე სკოლებს. ამავის შენიშნავ პელიკოროსიასაც.

გაკვრით შენიშნულ მალოროსიასა და პელიკოროსიის სამზღვრებში შეხვდება კაცი ხეებსაც, ბუჩქნერებსაც, მაგრამ გულს მაინც ვერ აჯერებს, რადგანაც უკეთესი უნახია. ყანებში, სხვათა შორის ნახავს, აგრეთვე ჩვენებურს სიმინდსაც, რომელსაც მალოროსიაშიაც სთესვენ, მაგრამ მისი სიხშირე და გაუმარგვლელობა მოგზაურს დააფიქრებს და ათქმევინებს:—უთუოდ არ ცოდნიათ აქაურებს სიმინდის მოყვანაო. პელიკოროსია წაშორებით ტყიანია და ბუჩქნარიანი, სანამ მალოროსია, მაგრამ უკანასკნელი არის დაჯილდოებული ერთი კარგის თვისებით: ეს არის ჰავის მცირედი სიჩვილე, რომელსაც მოკლებულია დანარჩენი რუსეთი.

ქალაქებით რუსეთი მჭიდროდ არ

...ლო ტყეებს რუსეთში და ციმბირში ...მისულ იმ დასკვნაზე, რომ ეს სე...ნი წარმოდგა უმეტეს ნაწილად უკმაყოფილების, გამო ადმინისტრაციის და მცხოვრებლების შუა. რადგანაც პირ...ელი არ აძლევდა კანონით ნებას მცხოვრებლებს ესარგებლათ მათის ტყეებით; ეხლა კითხვა აღძრულია ამის შესახებ სამინისტროში, თუ რა ზომები იხმარონ და როგორ გაანაწილონ სარგებლობა ტყეთ.

# ნარევი

## სახალხო სიტყვიერების მასალა

რამდენიმე შელოცვა წამლებითურთ სხვა-და-სხვა სნეულების დროს ადამიანისა და პირუტყვისა.

აქ მოგვყავს ჩვენი ხალხის რამდენიმე შელოცვა, რომელსაც დიდის მოწიწებით ...მართობენ სხვა-და-სხვა სნეულობისთვის და კიდევ სხვა შემთხვევაში, რომელზედაც ჰგონებენ, ვითომც დიდი ძალა და მოქმედება ჰქონდეს ადამიანზე, თუ პირუტყვზე და სხვა რასმეზედმე. ამ შელოცვების მცოდნენი აგრე რიგად არავის ასწავლიან, თუ არ ახლო ნათესავს და ერთგულს მეგობარს; ჰფიქრობენ ძალა დაეკარგებაო.

ურჩხილის შელოცვა: ზღვაში ზღვა არის, ზღვაში ძნა არის, ძნაში თავთავი, თავთავში პურის მარცვალი; მარცვალი ზღვაში ჩავარდა, ურჩხილო თან ჩაჰყე.

სამი ურინველი მოურინდა, ერთი თეთრი, ერთი წითელი, ერთი შავი. თეთრიც გაურინდა, წითელიც გაურინდა და შავი მირ დარჩა.

(დამწვარი და დაუწვავი ყინვარე შაქარი, შვიდი გვარის ურჩხილის ნავსეკი, ...ნჭრის თესლი, ჭიაფერი, ქალის რძე ...გალესილი, ჩაუშვით თვალში, არგებს. შელოცვის დროს უნდა აიღოთ შვიდი მარცვალი პურის ხორბალი და შვიდჯერ შეულოცოთ, და შვიდჯერვე უსმელ დი...ის წყალში ჩააგდოთ, რომელიც ჯამით უნდა გედგათ. როდესაც იტყვით, ურჩხილო შენც თან ჩაჰყე, იმ დროს თითო მარცვალიც ჩააგდოთ ამ ჯამში და ეს წყალი შელოცვის შემდეგ, ან მდინარე წყალში და ან ისეთს ალაგას გადააქციოთ, რომ ფეხი არ მოხვდეს).

ტყირპის შელოცვა: სახელითა მამისათა და ძისათა, პირველს მამლის ყივილისასა, (სამჯერ) სახელო ღვთისაო, ტყირპო სდნებოდე, სჭკნებოდე, ბძანება არის ღვთისაო. (სამჯერ შეილოცეთ).

(ტყირპის წამალიც ეს არის: აიღეთ მაღლის პილწი და სვინტრის ძირი, ერთად დანაყეთ, ძმარში მოხარშეთ და ტყირპზე დაადეთ ერთ დღე-ღამეს. ეს შელოცვა და წამალი უებარია).

საბეწვის შელოცვა: თეთრი მდევი მოდიოდა, მხრით მოჰქონდა მცა, მუხლის თავით დედამიწა; შემოეყარა იესო ქრისტე და ჰკითხა: სად მიხვალ თეთრო მდეო? „მივდივარ ადამიანის თითში ძვლების სახვრელათ, სისხლის სასმელათ, ხორცის საჭმელათ“. არა მამამ იცის და სულმა წმინდამ, არ შეგიშვებ ადამიანის თითში, არც გახვრეინებ ძვლებსა, არც გასმევ სისხლსა, არც გაჭმევ ხორცსა, გამოგიყვან ღვთის ძალით და ჩემის ლოცვით, აგიკრამ ზენასა, წაგაღებინებ ქვენასა. (ამის წამალი რა არის,—ცხარე ძმარი, ქათმის სკინტლი, ლაყე კვერცხი, კირი, მოშუშეთ ერთათ, და დაადეთ—არგებს უთუოდ).

დამწვრის შელოცვა:

ელი-ელამდაო,
ზღვა ფიფინებდაო,
წიოლე ხუცესსაო
ხარი შეებაო.

ზღვა ხნული, ქვიშა, თესლი, დამწვარი, რომ დღეს უკან გამთელებული.

(კვერცხის გული და ფქვილი მოზილეთ, ამის უხა გამოაცხეთ, დანაყეთ წმინდათ; დამწვარზე ზეითუნი ან სელის ზეთი წაუსვით და მერე ეს დანაყილი უხა დააყარეთ—არგებს ღვთით).

მატლ დახვეულის შელოცვა. მერა საკურველი გნახე, გოლგოთასა მთაზედა, გველი სცურამს ქვაზედა; უსულომა, უგულომა სულიანი, გულიანი შეგვიჭამა.

(ჭინჭარზე, ან ატმის ფოთოლზედ, ან კირზედ და ან მარილზედ შეულოცეთ და ჩაყარეთ, სადაც მატლი ესვიის; არგებს).

ჰიდეე მატლის შელოცვა. სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა. მამა აბრამი ჯდა იობი კარსა, სჩოდა, სტიროდა: ვის უნახამს, უკბილო სჭამდეს კბილიანსა! (მოგლიჯეთ სამყურა ბალახი, ამაზე შეულოცეთ სამჯერ და რამდენიც შეულოცოთ, იმდენჯერ სთქვით: „გასცვივდი მატლო“. ისიც ახსენეთ რა პირუტყვია და რა ფერისა; ეს ბალახი შეაჭამეთ და მორჩება).

ხოკის შელოცვა. ხოკი, ხოკი, ხოკმანდული, ცხრა ძმანი დასანდალული, ზღვიდამ ქარი ამოვიდა სათივისა ბოლოსა, ისე სჭამდა რკინასა, როგორც ხარი თივასა; ჩანჩხარამ ჩამოიარა სალორისა კარსა, ლორსა ხოკით ეშველება, ტყვესა ხოროსნისასა.

(ქერზე და მარილზე შეულოცეთ სამჯერ და აჭამეთ).

თურქულის შელოცვა. მოსწივის თურქული, მოსჭყავის კატასავით, მოსწვამს ცეცხლისავით, სჩხვლეტს ნემსსავით. შემოეყარა ქრისტე ღმერთი, სად მიდიხარ თურქულო? მივდივარ საქონლის პირში, იქ მივსჭყავი კატასავით, იქა ვსწვამ ცეცხლსავით, იქ ვსჩხვლეტ ნემსსავით.—ალმასის დანას დაგკრამ, გაგაურეინებ სულსა, ჩემ შავ ტარიან დანას დაგცემ დაგანიორწყლებ. ღმერთო, შენ დასწერე შენი წყალობის ჯვარი.

(ჯამში უნდა ჩაასხათ წყალი შიგ ნემსი და შაბი უნდა ჩააგდოთ, სამჯერ შეულოცოთ შავ ტარიანი დანით და ჯვარი გადასახოთ ამ წყალს; მერე ეს წყალი ავად-მყოფ საქონელს თუნდ ფრინველს დაალევინოთ, მხოლოდ ნემსი და შაბი ამოიღეთ. ეს წამალი ნაცადია).

მგლის პირის შეკვრის შელოცვა. სახელო სახელისაო, მამისა და ძისაო, დასულისა წმინდისაო ამინ. შეულოცამ მგელს და დანაკარგს (პირუტყვის სახელი თქვით). ღმერთო, ღმერთო, ჩამოჰყარე ცხრა კლიტე და კლიტოსანი, შენ შეჰკარ და შენ შებოჭე პირი მხეცისანი და ხელნი მეკობრისანი; მიე ენა ნაბდისა, კბილი სანთლისა, მუხლი ანწლისა, ღმერთო შენ დასწერე შენი წყალობის ჯვარი, შენ მოარჩინე ჩვენი (ცხენი თუ ხარი).

(უნდა აიღოთ მაკრატელი და სავარცხელს დადოთ; თან შეულოცოთ და თან წითელი აბრეშუმის ძაფით შეჰკრათ. მერე ეს სავარცხელი და მაკრატელი ხელ-უკუღმა კარის ღრუბელში შეზდოთ).

შეკრ. ი. დავითაშვილისა.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირამანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტ... ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და

---

...რის გაშენებული. სოფლების არი...ს, ქალაქებიც ძლიერ შორი-შორს ...რიან ერთი-მეორისაგან გაშენებული. ამათში ველიკოროსების, მალოროსების და ბელოროსების გარდა ...ურებელი ევროპისა და სხვა ქვეყნების ტომნიც ცხოვრობენ. ველიკოროსებსა, მალოროსებსა და ბელოროსებს შორის ბევრ განსხვავებას შეხვდება კაცი საზოგადოდ ...ულს მათ ცხოვრებაში.

რუსეთის გლეხის დედა-კაცები ერთობ საბრალო სურათს წარმოადგენენ. თითქმის უმეტესი ნაწილი ფეხშიშველები დაიარებიან, მაშინ როდესაც მამა-კაცს ვერ ნახავთ, რომ ...მე არ ეცვას ფეხზე; ეტყობა, მამაკაცები უფრო ზრუნავენ აქ თავიანთ თავზე, მინამ ქალებზე; სამუშაოში ...ლს მაინც არ უწევდნენ მამაკაცებს! სოფლებში კიდევ არაფერი, მოსკოვშიაც და პეტერბურღშიაც დაიარებიან ფეხშიშველა ქალები და ...ჭრობენ რალაცაებს.

პეტერბურღი ცოტათი ჩამოგავს რუსის ქალაქს. მგონია მმართებლობით დაწესებულებათა გარდა, არასფერს არ ატყვია აქ რუსულობა. მცხოვრებთა რიცხვის ნახევარზედ მეტს თითქმის გერმანიელები შეადგენენ, დანარჩენები კი არიან რუსები, პოლშელები, ფრანცუზები და სხვანი, რომელთა შორის ნაწნავიანი ჩინელიც კი შეგხვდება თავის უცხო და თავისებურის მორთულობით. ერთად ერთი ქალაქია პეტერბურღი, სადაც სწორე და ფართო ქუჩები არის. პეტრე დიდს, ალბად ტყუილა არ აუგია აქ ქალაქი, რადგანაც ნევა ერთად-ერთი მდინარეა მთელს რუსეთში, რომელსაც მდინარეობა ეტყობა როგორცაა; მისი ნაპირები სულ გრანიტის ქვით არის ამოგებული. წყალი ევოდნად დიდია, რომ ზედ ხომალდები დაიარებიან და დიდი ხომალდებისთვის კი ხიდები გაიხსნებიან ხოლმე ისეთ-ნაირად არიან მოწყობილნი. ნევის მდინარე მრავალ ტოტებად არის დაყოფილი, რომელნიც არიან შემოყვანილნი თვით ქალაქში.

პეტერბურღის უმთავრესი ქუჩა ნევის პროსპექტია. ამ პროსპექტზე შენობებისაგან შესანიშნავნი არიან: ახალი ხელმწიფის სასახლე, ეკატერინას ძეგლი, ამის თანამოღვაწებითურთ, რომელნიც მის კვეშევრდომობით არიან ჩამოსხმულნი, და ყაზანის ღვთის-მშობლის ეკკლესია, რომელიც აშენებულია რომის წმ. პეტრეს ეკკლესიის ყვეგმაზე და ითვლება მეორე ეკკლესიად მთელ პეტერბურღში ისააკის ეკკლესიის შემდეგ. ნევის პროსპექტზედ გაუწყვეტელი მოძრაობაა: ხალხი ჯიანჭველასავით ირევა, ფაეტონებისა და საცხენოსნო რკინის გზის მატარებლების რიხინისაგან ყური წაგერთმევა კაცს. ყველა ჯურის კაცს შეხვდები აქ. უმაღლესის ხარისხისაგან მოკიდებული სულ უმდაბლესამდე. რუსეთის დანარჩენ ქალაქებზე, აქ უფრო შეხვდება კაცი ლამაზს ქალს. სწორედ იმის მიზეზი უნდა იყოს ეს მოვლინებანი, რომ ქალაქი გარდამეტებით უცხოეთლების არის. ორი სომხის ქალი ენახე ჩვენებურად მორთული და გულმა თითქო რაღაც შევება იგრძნო, ნახა რა თვისი საგრძნობელი, მაგრამ ეს კი არ მეჭაშნიკა, რომ ქართულად იყვნენ მორთული შნოსა და სილამაზეს მოკლებული ქალები. ვინ იცის ესენი რამდენ აქაურებს აფიქრებინებენ გლახას ჩვენ შავ თვალ-წარბიან და ლერწამტანიან ქალებზე. ნეტავი მაინც მაგ ოჯახ-აშენებულებმა, სხვა ქვეყანაში რომ წავლენ ქართულად გამოჭიმულნი, რაიმე ნიშანი გაიკეთონ ტანზე, რომ ისინი ქართველები არ არიან.

ქვალაპიდი.

ქ. პეტერბურღი.

29 აგვისტოს 1882 წ.

ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი — ძარღვების ავათმყოფობისა.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს. მინკევიჩი — სიფილისური ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეკოვი — შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ქირურგიული ავათმყოფობისა; ბასტურკოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი — ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

შ ა ბ ა თ ს. ლისიცევი — შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ქირურგიული ავათმყოფობისა; ბასტურკოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი — ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი

პირველ სკრიპკაზე დამკვრელი
ტფილისის რუსული ოპერისა
ვ. ზ სალინი

აძლევს გაკვეთილებს სკრიპკაზე. მისი ნახვა შეიძლება 5 საათიდამ 7 საათამდე საღამოისა. გოლოვინის პროსპექტზე ტრეგუბოვის სახლში № 1 ეზოში. იქვე ისყიდება სკრიპკა რუდჟერის ხელობისა 500 მანეთად. (3—1)

ქალი-ექიმი
ალექსანდრა ვასილის ასული
სამოილოვიჩისა

დაბრუნდა აბასთუმნიდამ, და ხელახლავ იღებს ავად-მყოფებს კერძო სამკურნალოში და თავის სახლში, ქუკიაში ხიდის ქუჩაზედ (мостовая), ხვედნიცკის სახლში, № 22. (3—1)

ვაძლევ დღიურად და თვეობით იაფათ მებლიროვან ოთახებს, სახელად

## „ლივადია“

გოლოვინის პროსპექტზედ. (20—18)

ნაფიცი ვექილი
სერგეი ვასილის ძე
## ჩემესოვი

გადავიდა გოლოვინის პროსპექტზე ბატიბეგოვის სახლებში (6—5)

ღირსეულს და განათლებულს ოჯახში მიიღებენ ქალებს საქალებო სასწავლებლებში მოსამზადებლად.

პირობების შეტყობა შეიძლება გორში, ბატ. დირექტორ სემენოვის ოჯახში. (10—2)

გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნის სიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატური — — — 10 კ.

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

## ეროვა

თხზ. ნ. ნიკოლაძისა
გამოცემული
ზ. ჭიჭინაძისაგან
ფასი 15 კაპ.

10 სეკტემბრიდამ ქ. ქუთაისში, იოსებ მურადოვის წიგნის მაღაზიაში გაიყიდება ქართული

## დედანი (პროპისი

შედგენილი და გამოცემული მ. დ. გაბიჩვაძისაგან. ფასი 12 კაპ. (3—3)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

დედა და შვილი
და
რამდენიმე ლექსი
თ. ილია ჭავჭავაძისა.
ზ. ჭიჭინაძისაგან გამოცემული
ფასი 15 კაპ.

ახალი ქართული

## კარაბადინი

ისყიდება ტფილისში: შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; ქუთაისში: მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

ფასი ყდიანის ერთი მანეთი.

## გორში

ხიდის ახლო ისყიდება საუკეთესო სახლის ალაგი. ფასზე ეკითხოს ტფილისში ზაქარია იოსების-ძე მამაცოვს. (3—3)

ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე იყიდება: პაპიროსები 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პაპიროსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—100)

## მაღაზია
სალიანის თევზეულისა

უცხადებს საზოგადოებას, რომ მან ახლად მიიღო სალიანში მარტში დაჭერილი თევზეული საგანგებოდ მომზადებული და ისყიდება წვრილადაც და პარტიითაც. აქვე ისყიდება ყოველ დღე მოხარშული თევზეული. მაღაზია იმყოფება თამამშოვის ქარვასლის ქვეშ. (12—12)

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

თამარ დედოფალი
შედგენილი
ა. ბ—შვილისაგან
გამოცემა
ზაქ. ჭიჭინაძისაგან
ფ ა ს ი ე რ თ ი ა ბ ა ზ ი.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

## სახსოვარი

ბატონიშვილის ალექსანდრეს-მის ირაკლის გარდაცვალებაზე.
შეკრებილი და გამოცემული
ზ. ჭიჭინაძისაგან
ფასი ხუთი შაური.

ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი

## მოთხრობანი

წიგნი მეორე.

ისყიდება ტფილისში: შავერდოვთან, ჩარკვიანთან და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ).

ქუთაისში: ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.

გორში: მ. კერესელიძესთან.

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სომხური წიგნი

მწყემსის სტვირი
ლექსები, სიმღერები და ზღაპრები
ცნობის-მოყვარე ყრმათათვის
სკოლაში და შინ საკითხავად
ალაიანცისა
გამოცემა კ. მ. შავერდოვის გაზეთის საგენტოსი.
ფასი ერთი აბაზი
(10—10)

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

მამულის
საერთო მფლობელობაზე
თხზულება
ანტონ ფურცელაძისა
გამოცემული
ზაქარ ჭიჭინაძისაგან.
ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში
ი ვ ა ვ - ა რ ა კ ნ ი
კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუისაგან გადმოქცეული თ. რ. ერისთავისა.

ისყიდება

ტფილისის წიგნის მაღაზიებში ახლად გამოსული რუსულს ენაზე წიგნი.

Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древной грузіи).

сост. Д. П. Пурцеладзе.

ქუთაისში ისყიდება ჭილაძეების მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი

ტაქსია

საკვებად ხორაგეულებთა, რომელნიც იყიდებიან ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 სეკტემბრიდამ 1 ოკტომბრამდის.

| | | |
|---|---|---|
| გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილ[illegible] | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5 |
| მეორის „ | —1 გირ. | 3 1/ |
| მესამის „ | —1 გირ. | — |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარ[illegible] | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5 1/ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 |
| ჯვარის-მამის პური: | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 გირ. | 6 |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4 1/ |
| ძროხის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 8 |
| მეორის „ | —1 გირ. | 7 |
| სუკი — — | —1 გირ. | 14 |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 9 |
| ღორის ხორცი: | | |
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — |
| მეორის „ | —1 გირ. | — |

გამოვიდა ცალკე წიგნათ
დ რ ა მ ა

## სამშობლო!

ისყიდება შავერდოვის საგენტოში.
ფასი 60 კაპ. (20—20)

ბიბლიოგრაფიული განცხადება.

ბუნების კარი, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შესწორებული გამოცემა და ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, მუხრანის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და მუშტრებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარისა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად. ყდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

კარტა საქართველოსი, მეორე შევსებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურად.